ს.ს.ი.პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

16. 03. 2009 № 32

(თბილისი)

/2008 წლის აგვისტოს საომარი მდგომარეობის შედეგად დაზარალებული სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდის დამატებითი ვადების დადგენის შესახებ/

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე და 2008 წლის აგვისტოს საომარი მდგომარეობის შედეგად სტუ-ს დაზარალებული სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადახდის ვადების გაგრძელების მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი პროფესიული და ბაკალავრიატის იმ სტუდენტებს, რომელთაც 2008 წლის საომარი მდგომარეობის გამო მიენიჭათ დაზარალებულის სტატუსი, 2008/09 სასწავლო წლის სწავლის საფასურის გადახდის ვადა განესაზღვროთ 2009 წლის 1 ივნისამდე;
2. სტუდენტებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებს.
3. ბრძანება განთავსდეს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ.№52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რექტორის მ/შ,
პროფესორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
პროფესორი ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი ბ. მაისურაძე